# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 214. ხუთშაბათი, 29 აპრილი 1904 წ. გაზეთის № 2481.

## ა ღ ს ა რ ე ბ ა

გუი დე-მოპასანისა.

მარგარიტა დე-ტრელი კვდებოდა. თუმცა 56 წლისა იყო, შეხედულობა, სულ უკანასკნელი, 75 წლისა ჰქონდა. სული უგუბდებოდა, იგრიხებოდა საზარელ თრთოლვისაგან; სახე გამოსცვლოდა, ფერი წასვლოდა და სასტიკი გამომეტყველება მიეღო, თითქო რაღაც მოჩვენება იდგა იმის წინაო.

მისი და, სიუზანა, ექვსის წლით უფროსი, დაჩოქილი ქვითქვითებდა მომაკვდავის წინ. პატარა სტოლზე, რომელიც საწოლთან იყო, ორი ანთებული სანთელი იდგა. მოელოდნენ მღვდელს, რომელსაც უნდა ეკურთხებინა ზეთი და ეზიარებინა მომაკვდავი. ოთახს მოწყენილი ელ-ფერი ედო.

წამლის შუშები აქა-იქ ავეჯზე ეყარა, სარეცხი კუთხეებში ეგდო. სავარძლები არეულიიყო, თითქო შეშინებულთ ურბენიათ აქეთ-იქითაო. საშინელი სიკვდილი იყო იქ დამალული, დაბუდებული.

მეტად გულის მომწყვლელი იყო ისტორია ამ ორის დისა. ბევრს აუცრემლა თვალები.

სიუზანას, უფროს დას, ოდესღაც გაგიჟებით უყვარდა ერთი ახალგაზდა კაცი, რომელიც ამნაირისავე სიყვარულით იყო გატაცებული. დანიშნულები იყვნენ და ელოდნენ მხოლოდ საათს პირობაზე ხელის მოსაწერად, როდესაც მოულოდნელად ჰენრიხ დე-სანპიერი მოკვდა.

აუწერელი იყო სასოწარკვეთილება ახალგაზდა ქალისა.

ერთ დღეს დილით, პატარა მარგარიტა, რომელიც ამ დროს სულ თორმეტის წლისა იყო, გადაეხვია დას და უთხრა: „დაო, არ მინდა, რომ შენ უბედური იყო, არ მინდა, რომ შენ სტიროდე მთელს შენს სიცოცხლეში. მე არ ავიღებ შენზე ხელს არასოდეს,—არასოდეს,—არასოდეს... არც მე გავთხოვდები და დავრჩები შენთან სამუდამოდ.“

სიუზანა მოეხვია პაწაწას. მეტად გაოცებული იყო დის ამგვარის ერთგულებით, თუმცა-კი არა სჯეროდა.

მაგრამ პატარამ არ გასტეხა სიტყვა და მშობლების თხოვნისა და უფროსის დის ხვეწნის მიუხედავად, არ გათხოვდა.

მარგარიტა ლამაზი იყო, მეტად ლამაზი. იმან უარი უთხრა ბევრ ყმაწვილ კაცს და მტკიცედ ასრულებდა თავის სიტყვას.

დებმა ერთად გაატარეს მთელი თავიანთი სიცოცხლე და არას დროს არ დაშორებულან ერთმანეთს. ათენ-აღამებდნენ დღეებს ერთად, განუყრელად შეკავშირებულნი. მაგრამ მარგარიტა ყოველთვის მწუხარე იყო, დაღვრემილი, უფრო დაღონებული, ვიდრე უფროსი და, თითქო იმისმა საოცარმა მსხვერპლმა სამაგიერო უგოო. იგი დაბერდა ადრე, ოცდა ათის წლისა უკვე ჭაღარავდა და ხშირად უქეიფოდაც ხდებოდა, ეტყობოდა, უცნაურის სნეულებით იყო შეპყრობილი, რომელიც ცოტ-ცოტად ბოლოს უღებდა.

### კავკასიელი მხატვრები გაშინჯალიანი



ყაზბეგი



წვიმის შემდეგ

პირველად განთიადისას ამოიღო ხმა და სთქვა:

— გაგზავნეთ მღვდელთან, დროა.

პირ ალმა იწვა. იგრიხებოდა სენისაგან. ანძრევდა ტუჩებს, თითქოს საშინელ სიტყვების თქმა უნდა, მაგრამ ვერ უთქვამსო. თვალებს სიცოცხლის ელფერი დაეკარგა და შიშისაგან გაშტერებული აქეთ-იქით იყურებოდა.



გენერალ-ლეიტენანტი გ. გ. გლაზოვი, ახლად დანიშნული საერო განათლების მინისტრი

იმისი და, მწუხარებისაგან ტანჯული, შუბლით მიყრდნობოდა საწოლს, სტიროდა გულ-ამოსკვნილი და იმეორებდა:

— მარგო, ჩემო საწყალო მარგო, ჩემო პატარავ!

ყოველთვის „პატარა“-ს ეძახდა, ისევე, როგორც უმცროსი „დიდ დას“.

კიბიდან ფეხის ხმა მოისმა.

კარი გაიღო. გამოჩნდა პატარა ბავშვი და მოხუცებული მღვდელი.

დაინახა თუ არა მომაკვდამა მღვდელი, ერთბაშად წამოჯდა, დააღო პირი, წაიდუდუნა ორი-სამი სიტყვა და დაუწყო



რუსეთის ჯარის სასანიტარო რაზმი.



სასანიტარო რაზმის მარხილები.

ლოგინის ფხაჭვნა ფრჩხილებით, თითქოს ფრჩხილებით უნდა გათხაროს სამარეო.

აბბატი სიმონი მიუახლოვდა, მოჰკიდა ხელი, აკოცა

— ღმერთი მოგიტევებთ, ჩემო შვილო. გამხნევდით, დრო მოახლოვდა. სთქვით!



რუსის ჯარი სადილობს.



რუსეთის ჯარის მოძრავი სამზარეულო.

მაშინ მარგარიტამ, თავიდან ფეხამდის აკანკალებულმა, შეარყია საწოლი ძლიერის მოძრაობით და წაიდუდუნა:

— დაჯექი, დიდო დავ, ყური დამიგდე.

მღვდელი დაიხარა სიუზანისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ საწოლთან იჯდა, წამოაყენა, დასვა სავარძელზე და, მოჰკიდა რა ორივეს ხელი, წარმოსთქვა:

— უფალო, მოჰხედე და მოჰმადლე ამათ ძალა!

მარგარიტამ ლაპარაკი დაიწყო. სიტყვები ყელიდან უხმოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოდიოდა, თითქოს მოქანცულანო.

— მომიტევე, მომიტევე, დიდო დაო, მომიტევე! ოჰ, რომ იცოდე, მთელს ჩემს სიცოცხლეში როგორ მეშინოდა ამ წუთისა...

ცრემლ მორეულმა სიუზანამ წაიდუდუნა:

— რა მოგიტევო, პატარავ? შენ ყველაფერი მომეცი, ყველაფერი შემომწირე, შენ ანგელოზი ხარ...

მაგრამ მარგარიტამ გააწყვეტინა:

— გაჩუმდი, გაჩუმდი! დამაცადე ვთქვა, ნუ მაწყვეტინებ... ეს საშინელებაა... ყველაფერი უნდა ვსთქვა ბოლომდის... ყური დამიგდე... გახსოვს... გახსოვს ჰენრიხ...

სიუზანას გააჟრჟოლა.

მარგარიტა განაგრძობდა:

— უნდა ყველაფერი გაიგონო, რომ გაიგო. მე თორმეტის წლისა ვიყავი, სულ თორმეტის წლისა. განებივრებული ვიყავ, ყველაფერს ჩავდიოდი, რაც მინდოდა... გახსოვს, როგორ მანებივრებდნენ? ყური დამიგდე... პირველად, როდესაც ის მოვიდა, გაკრიალებული წაღები ეცვა. ჩამოხტა ცხენიდან დერეფნის წინ და ბოდიში მოიხადა თავისს ტანისამოსისთვის. რაღაც ამბავი გადასცა მამას. ხომ გახსოვს ესა, მართალი არ არის? ნურას იტყვი, ყური დამიგდე... როდესაც დავინახე,

კობდა, გაშეშებული ვიდექ დარბაზის კუთხეში. ბავშვები ახირებულნი და საშინელნი არიან... დიახ, ვოცნებობდი იმაზე. ის მეორედ მოვიდა... მე სულ შევყურებდი, მთელის არსებით აღტაცებული. დიდი ვიყავი ჩემის წლოვანებისთვის... და ცბიერიც უფრო, ვიდრე ვსჩანდი. მე მხოლოდ იმაზე ლა ვფიქრობდი...

ჩუმად ვამბობდი: „ჰენრიხ დესანპიერ!"

შემდეგ მითხრეს, რომ შენ უნდა შეგირთოს. გული დამწვა ამ ამბავმა... ოჰ, დიდო დაო, რომ იცოდე, რა მწუხარება გამოვიარე: ვტიროდი მთელ ღამეებს, ძილი არ მეკარებოდა. ის-კი ყოველ დღე მოდიოდა, ნაშუადღევს... ხომ გახსოვს? ხომ მართალია? ნუ იტყვი ნურაფერს... ყური დამიგდე. შენ ხაჭაპურებს აკეთებდი, იმას ძლიერ უყვარდა... ფქვილისა, ზეთისა და რძისაგან... ოჰ, მე ვიცი, როგორც... ეხლაც შევიძლებდი იმის გაკეთებას, რომ საჭირო იყოს. ის სიამოვნებით სჭამდა, ერთ ჭიქა ღვინოს აყოლებდა და ამბობდა: „რა მშვენიერება რამ არის" — ო.

ხომ გახსოვს, როგორ ამბობდა ამას?

მე ვიჭვიანობდი, ვიჭვიანობდი! შენი ქორწილის დღე ახლოვდებოდა. სულ რაღაც ხუთმეტი დღე-ღა იყო დარჩენილი. ჭკუიდან ვიშლებოდი. ვეუბნებოდი ჩემს თავს: „ის არ შეირთავს სიუზანას! არა, არ მინდა, რომ ეს მოხდეს! მე შემირთავს, როდესაც გავიზდები, არას დროს არავინ მეყვარება იმნაირად!"...

ერთხელ, საღამოთი, იმასთან ერთად სეირნობდი კოშკის წინ მთვარის შუქზე... იქ, ფიჭვის ძირას, დიდ ფიჭვის ძირას... მოგეხვია... გეხვეოდა ორისავე ხელით... დიდხანს... ხომ გახსოვს, მართალია? შეიძლება ეს პირველად იყო... შენ საშინლად ფერმკრთალი იყავი, როდესაც დარბაზში შემოხვედი.



ნოვიკის ბრძოლა იაპონიის ესკადრასთან 30 მარტს.

მე იქვიყავ, ხშირ ტყეში. გადავირიე... რომ შემძლებოდა, ორივეს მოგკლავდით. გულში ვამბობდი: „ის არ შეირთავს სიუზანას, არას დროს!" და უცბად შემძულდა იგი.

მაშინ, იცი, რა ვქენი? ჩვენი მებაღე ხშირად ამზადებდა პატარა ბურთებს მაწანწალა ძაღლების დასახოცად. ამტვრევდა ქვით ბოთლის ნატეხებს და სდებდა დანაყულ შუშას ძროხის ხორცისაგან გაკეთებულ ბურთებში. დედას გა-



იაპონიის საავადმყოფოსთან.

მოვართვი წამლის შუშა, დავნაყე ჩაქუჩით და შევინახე ჯიბეში. ჩინებული ფხვნილი იყო. მეორე დღეს, როდესაც შენ ხაჭაპურებს აკეთებდი, გავჭერი დანით რამდენიმე და ჩავყარე შიგ ის ფხვნილი. სამი ხაჭაპური შეჭამა... მეც ერთი შევჭამე... დანარჩენი ექვსი ტბაში გადავისროლე... სამმა დღემ გაიარა და სამი გედი მოკვდა... გახსოვს? ოჰ, ნურას იტყვი, ყური დამიგდე, ყური დამიგდე!.. მხოლოდ მე არ მოვკვდი... მაგრამ მე მთელ ჩემ სიცოცხლეში ვიტანჯებოდი... ყური დამიგდე... ის მოკვდა... მაგრამ შემდეგ... უფრო გვიან... ყოველთვის... მეტად საშინელი იყო ჩემი სიცოცხლე, მთლად ჩემი სიცოცხლე... რანაირი წვალებაა! ჩემთვის ვამბობდი: „მე არ დავსტოვებ ჩემს დას, ვეტყვი ყველასფერს სიკვდილის წინ მეთქი..." და აი მას შემდეგ ყოველთვის ვფიქრობდი იმ წუთზე, როდესაც უნდა მეთქვა ყველაფერი... აი, დადგა კიდეც... საშინელებაა... ოჰ, დიდო დაო! ყოველთვის ვფიქრობდი, ყოველთვის,— დილით და საღამოთი, დღით და ღამით: „რა საჭიროა, გაუმჟღავნო ყველაფერი?" რა ტანჯვაა!.. ეხლა ყველაფერი გათავდა... ნუ იტყვი ნურაფერს... ეხლა მე მეშინიან. მე მეშინიან, როცა მოვკვდები უეცრად არ დავინახო ის.. მეშინიან, გესმის თუ არა? ვერ გავბედავ... საშინელებაა... მინდა, რომ მომიტევო... არ შემიძლიან უამისოდ წარვსდგე იმის წინაშე. სთხოვეთ, მომიტევოს, ბატონო აბბატო, უთხარით... გთხოვთ. მე არ შემიძლიან მოვკვდე უამისოდ."

გაჩუმდა. სული უგუბდებოდა, ზეწარს ფრჩხილებით ფხაჭნიდა. სიუზანამ დაიფარა სახეზე ხელები და არინძრეოდა. ჰფიქრობდა იმაზე, ვინც შეეძლო ჰყვარებოდა ასე დიდხანს. რა ბედნიერი სიცოცხლე ექნებოდათ! ძვირფასნო მიცვალებულნო, როგორ ქენჯნიან თქვენს გულს! ოჰ, ის კოცნა. იმისი ერთად-ერთი

ნა დღესაც ახსოვს. შემდეგ კი აღარაფერი მთელს სიცოცხლეში...

ერთბაშად მღვდელი წელში გაიმართა და მაღალის, აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა:

— ქალბატონო სიუზანა, თქვენი და კვდება!

მაშინ სიუზანამ ჩამოიღო ხელები, გამოაჩინა ცრემლებით დასველებული სახე, მივარდა დას, მთელის ძალ-ღონით აკოცა და უთხრა:

— მიპატივებია შენთვის, მიპატივებია შენთვის, პატარავ.

**ამბროსი ხოშტარია.**




იქნება კიდევ შეიძლებოდეს იერიშის მიტანა!..

**ტფილისის ყასბები** — **ქალაქის საყასბო**




— ქალაქის საყასბო ცარიელია და ისევ ჩვენთან მოხველით განა?!...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.